# ზეიმობს საქართველო სამშობლოს დიდი ჯილდოს მიღებას


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 პარასკევი 18 მარტი № 64 (16801) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР


**გუშინ საქართველოს სს რესპუბლიკას გადაეცა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა**



სურათზე: საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

ო. თურქიას და გ. პიპიაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დიდება შეჯიბრებაში გამარჯვებულთ!

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

**საქართველოს** დედაქალაქი საზეიმოდ არის მორთული. ქუჩები ალისფერი ტილოებითა და გაზაფხულის ყვავილებით მოუკაზმავთ. დიდ პანოებზე შეჯიბრებაში გამარჯვებულთა, ხუთწლედის მოწინავეთა, გმირული შრომის ადამიანთა პორტრეტებია, იმათი, ვისაც საბჭოთა ქვეყანა პროგრესის ახალი მწვერვალებისაკენ მიჰყავს.

ტრანსპარანტებზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც ადიდებენ შრომას, სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას.

თბილისელები გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც დედაქალაქში შეიკრიბნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ აღმშენებლობითი შრომის ზეიმში, გადახედონ განვლილ გზას, დასახონ ახალი, უფრო მაღალი მიჯნები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის ცხოვრებაში, ქართველი ხალხის, საბჭოთა საქართველოში ერთსულოვან ძმურ ოჯახად მცხოვრები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი იდეებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეებით შედუღაბებული ყველა ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენაა, რომ რესპუბლიკას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ მეოთხეჯერ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საბჭოთა საქართველოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა ღირსსახსოვარ დღეებში, როცა ერთი წელი გავიდა სკკპ XXV ყრილობიდან და ხუთი წელი — მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. 1976 წელს, აგრეთვე უკანასკნელ ხუთ წელიწადში საბჭოთა საქართველოს მიერ მოპოვებული წარმატებანი უზრუნველყო მეცნიერულად დასაბუთებულმა პოლიტიკამ, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და მისმა მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიულმა სამმა დოკუმენტმა, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს საქართველოს ცხოვრებაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით, რომელიც გასწიეს საქართველოს კომპარტიამ, საქალაქო, რაიონულმა, საოლქო კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მინისტრთა საბჭომ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საგეგმო და მომმარაგებელმა ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ყველა შრომითმა კოლექტივმა, შესაძლებელი გახდა განგვეხორციელებინა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარების გეგმები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ჩვენი რესპუბლიკისათვის. საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა გამოიჩინეს მაღალი პოლიტიკური შეგნება, მაღალი ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა პარტიის დავალებათა განხორციელებაში.

საზეიმოდ არის მორთული საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. აქ მოწყობილი ფოტოგამოფენა ასახავს რესპუბლიკის მიღწევებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სცენის სიღრმეში საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის წითელ ტილოზე წარწერილია „დიდება შრომას!“. ალამს ამშვენებს რესპუბლიკისათვის მინიჭებული ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

სცენაზეა მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფი.

დროშებთან, რომლებიც აღმშენებლობითს შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის გადაეცა რესპუბლიკას, საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიან მეომრები.

აქ 17 მარტს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკური დაწესებულებების, დიდი საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

დილის 10 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ჟ. კ. შარტავა, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი,** იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მე-

(დასასრული მე-2 გვერდზე).



# ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხ. ს. ოლშოვსკი

17 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ოლშოვსკი, რომელიც საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე გამოცდილების გაზიარებისათვის. გამართული საუბრის დროს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ქვეყანაში გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობა ორი ქვეყნის ხალხების, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ და შემდგომი წარმატებანი უსურვა პოლონელ კომუნისტთა მოძმე პარტიასა და პოლონელ ხალხს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

საუბარში, რომელმაც გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. რუსაკოვი.

სურათზე: საუბრის დროს.

საკდამ-საქინფორმის ტელეფოტო.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ამ დღეებში საქართველოს მიწა-წყალზე დიდი დღესასწაული დაგვიდგა — 1976 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის რესპუბლიკას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ეს მაღალი ჯილდო, უწინარეს ყოვლისა, აღიქვეს როგორც ახალი გამოვლინება პარტიისა და მთავრობის ნდობისა, მათი ლენინური ზრუნვისა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ზედიზედ მეოთხედ მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს — ამ ცოტა ხნის წინ ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა ჩვენთვის ისტორიული დადგენილება თბილისის საქალაქო პარტორგანიზაციის შესახებ, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა პარტიის XXV ყრილობამ, და ჩვენში ფართოდ არის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის.

სამშობლოს ჯილდო ნიშნავს, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს საბჭოთა საქართველო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა დროს, ქვეყანას, რომ იგი არ ჩამორჩა ჩვენი დიადი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების განუწყვეტლივ მზარდ ტემპს.

ამასთანავე რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმით, რომ საიუბილეო წლის ამოცანები მათგან მოითხოვს ძალების კიდევ უფრო მეტ მობილიზაციას, ყოველი ჩვენგანის კიდევ უფრო მეტ თავდადებასა და პასუხისმგებლობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, ამ საპროგრამო პოლიტიკურმა დოკუმენტმა, რომელსაც უდიდესი იდეურ-თეორიული მნიშვნელობა აქვს და ამასთანავე მოცემულ ეტაპზე პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის პრაქტიკული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს გვიჩვენებს, საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, შრომითი და პოლიტიკური ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია.

ფართოვდება ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. შრომითი კოლექტივები, მუშები, კოლმეურნეები ახალ ინიციატივებსა და თაოსნობებს იჩენენ, პირობას დებენ, რომ დიადი იუბილესათვის გაანაღდებენ ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებებს. ფართოდ მიმდინარეობს მზადება საკავშირო კომუნისტური შაბათობისათვის, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავსა და ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახებ გამოტანილი დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები და განსაზღვრა საბჭოთა ხალხის შესანიშნავი დღესასწაულის ღირსეული შეხვედრის ღონისძიებები, რომლებიც ეკონომიკისა და კულტურის ყველა მხარეს მოიცავს. ჩვენ, კრების მონაწილენი, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით სიტყვას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და გპირდებით პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია მისი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საიუბილეო 1977 წელს აღნიშნავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კიდევ უფრო მაღალი მიღწევებით, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით.

ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების საფუძველზე, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების გზით, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მიმდინარე საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად ვადამდე უზრუნველვყოფთ მთელი სახელმწიფო დავალებების შესრულებას, ყოველნაირად შევუწყობთ ხელს პარტიის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებას, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიადი პროგრამის შესრულებას.

საქართველოს ყველა მშრომელის სახელით, ჩვენ მთელი სულით და გულით მხურვალე მადლობას მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ზრუნვის გამო, მთლიანად და სავსებით ვუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას — ყველაზე მშვიდობისმოყვარულ, ჰუმანურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს მილიონთა შემოქმედებითი ძალების ჭეშმარიტ რეალიზაციას, ამკვიდრებს ქვეყნად ხალხთა თავისუფლების, ინტერნაციონალიზმის, თანასწორობისა და თანამშრომლობის მაღალ იდეალებს. პირობას გაძლევთ, რომ კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად ვიბრძოლებთ ამ იდეალების ხორცშესხმისათვის, კაცობრიობის სანუკვარი ოცნების განხორციელებისათვის — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს — დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიულ ნიშანსვეტს!

**მიღებულია საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1977 წლის 17 მარტს.**

# ჩამოვიდა მინისტრი

**17 მარტს** მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი.

აეროდრომზე ბ. ჰნოუპეკსა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი და სხვა ოფიციალური პირები.

დამხვდურთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ო. გავლიკა. (საკდამ).

# დიდება შეჯიბრებაში გამარჯვებულთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ათე ხუთწლედის პირველი წლის შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

კრების მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ნ. ა. პეტროვიჩევი.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

შეკრებილნი უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილეს ნ. ა. პეტროვიჩევს. მან მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული მაღალი ჯილდო, გადასცა მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი სალამი და უსურვა ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

— წილად მხვდა მეტად სასიამოვნო დიდი პატივი, — თქვა ნ. ა. პეტროვიჩევმა, — საქართველოს სს რესპუბლიკას გადავცე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა 1976 წელს, მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

სცენაზე დროშა გამოაქვთ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს — № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. კ. კობახიძეს, თბილისის ფოლად-თუჯსადსხმელო ქარხნის ბრიგადირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გ. ნ. კურტანიძეს, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნ. ა. პეტრიაშვილს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ჩაიბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კ. შარტავამ, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებმა.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას. ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება „საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის საქმეში".

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, ზუგდიდის რაიონის ონარიის საბჭოთა მეურნეობის ჩაის საკრეფი მანქანის მექანიკოსი მძღოლი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. ვ. ჩაბალუხა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, „თბილქალაქმშენის" № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი ა. მ. სმირნოვი, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გ. დ. მგელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი რ. ვ. გორდეზიანი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი რ. ა. თხელიძე, ფოთის საოკეანო თევზმჭერის სამმართველოს თევზსარეწი ტრალერის „ოქტიაბრსკის" კაპიტან-დირექტორი უ. ლ. იოსელიანი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის" თავმჯდომარე ი. ხ. ტარკილი, საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორი გ. ვ. მინდელი, წოდორის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი მ. ლ. მდივანი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ე. აბულაძე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. გ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი თ. ა. გოქსაძე, მწერალი გ. ლ. ასათიანი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. ნ. მოსესოვი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი მ. ნ. ადეიშვილი.

კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დეპეშა კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების მემანქანის შ. ა. ნატროშვილისადმი. დეპეშაში ლეონიდ ილიას-ძე მადლობას უძღვნის მუშას, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების ლენინური კურსის განხორციელებისათვის. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ სიამოვნებით შეიტყო ამხ. შ. ნატროშვილის კოლექტივის საწარმოო მიღწევების ამბავი, და გამოთქვამს რწმენას, რომ იგი და მისი ამხანაგები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში, მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი. პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გადაიქცა საქართველოს მშრომელთა ილმშენებლობითი შრომის ზეიმად, რომელმაც ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური პარტიის გარშემო, მზად არიან სამშობლოს მაღალ ჯილდოს უპასუხონ ახალი წარმატებებით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში.

კრებამ ასახა ის მაღალი პატრიოტული შემართება და დაძაბული შრომითი რიტმი, რომელიც ახასიათებს დიდი ოქტომბრის სახელოვანი მე-60 წლისთავისათვის მზადებას რესპუბლიკაში. კრებაზე დაასახელეს და ჯეროვანი პატივი მიაგეს საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა აღფრთოვანებული, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატეს რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის მხურვალე მადლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ასე მამობრივად, დაუცხრომლად რომ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანებისათვის. მათ გამოხატეს ურყევი ერთგულება კომუნისტური იდეალებისადმი, მჭიდრო შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, რომელსაც მეთაურობს გამოჩენილი ლენინელი, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, მგზნებარე ინტერნაციონალისტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელზეც გამოვიდნენ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. (საქინფორმი).



# დიდი სიხარული

## კრემლიდან მიღებული სტრიქონების სითბო

გეპირ ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოებისადმი მიძღვნილ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვამ, აღაფრთოვანა ჩვენი ქვეყნის მშრომელები. მათ გადაწყვიტეს წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი და დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ლეონიდ ილიას-ძის გამოსვლას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კასპის ცემენტის ქარხნის მემანქანე შალვა ნატროშვილი. მან გენერალურ მდივანს დეპეშით უპატაკა თავისი ბრიგადის წარმატებებზე და საოქტომბრო ზეიმისათვის ივალდებულა 150 ათასი პირობითი ფილა შიფერის დამზადება ნაცვლად 100 ათასისა.

და აი გუშინ ჩვენი რესპუბლიკისათვის საზეიმო დღეს, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სხდომაზე წაკითხულ იქნა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საპასუხო დეპეშა შ. ნატროშვილისადმი.

— უღრმესი მადლობა ლეონიდ ილიას-ძეს იმ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის, რაც მე დღეს განვიცადე, — გვითხრა საზეიმო სხდომის შემდეგ შ. ნატროშვილმა, ეს ხომ მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნათელი დადასტურებაა. მადლობა მას ჩვენთვის ყოველდღიური ზრუნვის გამო.

წლევანდელი წელი ჩვენი ბრიგადის წევრებმა წარმატებით დავიწყეთ. პირველი კვარტალის გეგმა უკვე განაღდებული გვაქვს. და დღეისათვის გეგმის ზევით უკვე გამოშვებული გვაქვს 50 ათასი პირობითი ფილა შიფერი. მართალია, ლეონიდ ილიას-ძისადმი მიცემულ პირობას წარმატებით ვასრულებთ, მაგრამ პირობას ვდებ აღებული ვალდებულებები კიდევ უფრო გავზარდო.

სურათზე: შალვა ნატროშვილი.

# გაზაფხულის ყვავილები — ვ. ი. ლენინს

უკვე შესანიშნავ ტრადიციად იქცა, რომ ყოველი დიდი მოვლენის წინ საქართველოს კომუნისტები, მშრომელები მოდიან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლთან.

17 მარტს საქართველოს დედასწაული დაუდგა. საქართველოს სახელოვან მშრომელებს გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. თითქოს უფრო მეტად კაშკაშებენ ვარსკვლავები შრომის გმირების მკერდზე, უფრო მხიარულად იღიმებიან მშრომელები. ლენინის მოედანიც გაამშვენიერა გაზაფხულის ფერებმა.

დილაადრიან მოედნისაკენ გამოეშურა ხალხის ნაკადი — რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარი შრომით მოუტანეს გამარჯვება რესპუბლიკას.

მოედანზე ბეთჰოვენის „აპასიონატის" დიდებული, საზეიმო მელოდია გაისმა. გრანიტის კვარცხლბეკი შემკეს ცოცხალი ყვავილების თაიგულებით. ალისფერ ლენტზე ოქროსფერი ასოებით არის წარწერილი: „დიდ ლენინს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებისაგან"...

ამ დილას საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე შეკრებილმა ასობით ადამიანმა წუთიერი დუმილით სცა პატივი ბელადის ხსოვნას.

(საქინფორმი).

## საბჭოთა აჭარა 56 წლისაა

მას შემდეგ რაც, 1921 წლის 18 მარტს, აჭარის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხეს ექსპლოატატორული წყობილება, ბოლო მოუღეს უცხოელთა თარეშს და დაიწყეს ახალი ცხოვრების, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, აჭარაში განხორციელდა დიდი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული გარდაქმნები. განვლილი 56 წელი იყო სწრაფი წინსვლისა და აღმავლობის წლები, რომლებმაც შესანიშნავი შედეგები მოუტანა აჭარის მშრომელებს ცხოვრების ყველა დარგში. მოკლე ისტორიულ ვადაში აჭარამ დაძლია ძველი წყობილებისაგან მიღებული ჩამორჩენილობა და გადაიქცა განვითარებული ეკონომიკისა და მოწინავე ქართული საბჭოთა კულტურის ავტონომიურ რესპუბლიკად.

აჭარაში, ისე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, წარმატებით განხორციელდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. ამას მოწმობენ ციფრები და ფაქტები.

დამახასიათებელია ის, რომ 1976 წელს, 1921 წელთან შედარებით აჭარის მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის წარმოება დაახლოებით 116-ჯერ გაიზარდა. აშენდა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, როგორიც არის, მაგალითად, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ტრანსფორმატორების, ელექტრომექანიკური, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები, ფეხსაცმლის, თამბაქოსა და ჩაის ფაბრიკები, სამკერვალო და ტყავის სამრეწველო გაერთიანებები, ციტრუსკომბინატი და სხვა საწარმოები, რომლებიც ყოველწლიურად ქვეყანას აძლევენ 350 მილიონ მანეთისაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას.

აჭარის მრეწველობა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. 1976 წელს მრეწველობის მუშაკებმა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულეს. შარშან გეგმის ზევით რეალიზებულია 8 მილიონი და წარმოებულია 12 მილიონზე მეტი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 4,6 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 2,7 პროცენტი შეადგინა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. აჭარის ზღვისპირეთი გადაიქცა ჩაისა და ციტრუსების ბაღნარად. 1976 წელს აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 51.110 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და მოსავლიანი პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 6.867 კილოგრამი ფოთოლი მიიღეს. მეციტრუსეებმა დაამზადეს 70.655 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, გასულ წელს აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ 110 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა, ხოლო ბოსტნეულისა 104,9 პროცენტით, ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხილის, მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები და ვალდებულებები.

საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი სოციალური მონაპოვარია უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფა, მუშა-მოსამსახურეთა კომუნალური ბინებით დაკმაყოფილება, კულტურული მომსახურება.

დიდი გარდატეხა მოხდა აჭარის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. ყოველმხრივ ამაღლდა მისი განათლებისა და კულტურის დონე, ამას ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ძველი ჩამორჩენილი ყოფის დაძლევისათვის, სასწავლო, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და სწავლა-აღზრდისათვის. ამჟამად აჭარაში 414 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 8 საშუალო სპეციალური, 3 პროფტექნიკური სასწავლებელი, პედაგოგიური ინსტიტუტი და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს ფაკულტეტია. ახლა აჭარაში ყველა სკოლასა და სასწავლებელში 80 ათასზე მეტი კაცი, ანუ ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს.

განვითარდა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენმა მწერლებმა, მხატვრებმა და ხელოვნების სხვა მუშაკებმა ბევრი ახალი ნაწარმოები, მხატვრული ნამუშევარი და სპექტაკლი შექმნეს. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ" დასტამბა მრავალი დასახელების მხატვრული და სამეცნიერო-პოლიტიკური ხასიათის წიგნი. რამდენჯერმე მოეწყო მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგიც გამოიღო. ახლა აჭარას ჰყავს საკუთარი სპეციალისტთა კადრები — პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, ეკონომისტები, აგრონომები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და კულტურის სხვა დარგის მუშაკები, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ცალკეულ დარგებში.

მოსახლეობის კულტურულ ზრდას ემსახურება ხუთასამდე კულტურის დაწესებულება — სახელმწიფო თეატრი, ფილარმონია, ხალხური შემოქმედების სახლი, მუზეუმები, კულტურის სასახლეები და სახლები, კლუბები და ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, კინოდანადგარები. ყოველწლიურად იზრდება წიგნის ფონდი და მკითხველთა რაოდენობა.

დიდი ყურადღება მიექცა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასა და დასვენებას. აჭარაში შეიქმნა სამკურნალო - პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო ქსელი. გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, შემცირდა სიკვდილიანობა, გახანგრძლივდა ადამიანის სიცოცხლე; აჭარამ, განსაკუთრებით მისმა ზღვისპირეთმა სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო კურორტმა. აჭარის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებში ყოველწლიურად ათეულათასობით ადამიანი ისვენებს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. აჭარა იზიდავს ბევრ უცხოელ ტურისტსა და სტუმარს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარის მშრომელთა მიერ მოპოვებულ მიღწევებს პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს. სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, აგრეთვე მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გამარჯვებული გამოდის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც ღირსეულად მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშები — 1973 წელს სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო სამ უკანასკნელ წელს მთლიანად სახალხო მეურნეობის დარგში.

აჭარის მშრომელებში დიდი სიხარული გამოიწვია იმან, რომ აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მეათე ხუთწლედის პირველ წელს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებისათვის და 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს აჭარის მშრომელთა თავდადებული შრომის კიდევ ერთი მაღალი შეფასებაა.

ახლა აჭარის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების, ყველა კომუნისტისა და მშრომელის ყურადღების ცენტრშია არსებული ზოგიერთი ჩამორჩენისა და ნაკლის დაძლევა, პარტიისა და მთავრობის დავალებების უთუოდ შესრულება.

აჭარის მშრომელებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის, 1977 წლის დიდი ამოცანების განხორციელება მოითხოვს დიდ შემოქმედებითს შრომას. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგებში.

აჭარის მშრომელებმა მიმდინარე წლის დასაწყისშივე კარგი სტარტი აიღეს. მათ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის იანვარ-თებერვლის გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი გაიზარდა 4,6 პროცენტით. სოფლის მეურნეობის მშრომელები კარგად იყენებენ ამინდის ხელსაყრელ პირობებს და ფართოდ ეწევიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

აჭარის მშრომელები, რომლებიც აღზრდილი არიან სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, ყველაფერს გააკეთებენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად და წარმატებით შეასრულებენ 1977 წლის სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის დიდი ამოცანების განხორციელების საქმეში.

დ. დიასამიძე,
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

# წინსვლის, აღმავლობის წლები



### განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წლის) და V პლენუმების გადაწყვეტილებანი

# მეტია მოზარდეული, მეტია მეცხოველეობის პროდუქტებიც!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წ.) და V პლენუმების დოკუმენტებში, რომლებმაც განიხილეს ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის დაჩქარებული აღმავლობის საკითხები, დიდი ყურადღება დაეთმო ჯოგის მომრავლებას. ჯანსაღი, ღონიერი მოზარდეულის მიღება ფერმების მუშაკთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, უპირველესი საზრუნავია. ამავე დროს მათ უნდა აღმოფხვრან პირუტყვის მოვლა-შენახვის ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორიცაა ცუდი კვება, უდროო დათესვლა, მოციონის უგულებელყოფა, სუსტი ვეტერინარული ზედამხედველობა სადგომი ხულადობის ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი და სხვ., რაც იწვევს მის უნაყოფობასა და სიბერწეს.

მაგრამ ეს მუშაობა ყველგან როდი წარმოებს სათანადო მიზანმიმართულებით. დირექტიული ორგანოების მითითებათა მიუხედავად ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სოფლის მეურნეობის მუშაკებს ზოგჯერ მხედველობიდან რჩებათ ჩვენი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ეს სფერო. ამას მოწმობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში — ხბოსა და ზაქის, ბატკნისა და თიკნის, აგრეთვე გოჭის ნამატის მიღების ქვემოთ მოყვანილი მონაცემებიც.

| რაიონები, ქალაქები, ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი | ნამატი პროცენტობით 1976 წელთან შედარებით: ხბო და ზაქი | გოჭი | ბატკანი და თიკანი |
|---|---|---|---|
| ახალქალაქის | 98 | 188 | 90 |
| ბოგდანოვკის | 120 | — | 97 |
| ახალციხის | 102 | 59 | 241 |
| ადიგენის | 83 | 153 | 215 |
| ასპინძის | 80 | — | 21 |
| ხაშურის | 117 | 44 | — |
| ქარელის | 78 | 77 | 10-ჯერ |
| გორის | 86 | 71 | 45 |
| კასპის | 106 | 59 | 46 |
| ბორჯომის | 79 | 32 | 32 |
| საგარეჯოს | 95 | 92 | 116 |
| გურჯაანის | 86 | 78 | 6-ჯერ |
| სიღნაღის | 109 | 107 | 90 |
| წითელწყაროს | 100 | 110 | 112 |
| თელავის | 107 | 61 | 97 |
| ახმეტის | 76 | 47 | 126 |
| ყვარელის | 99 | 106 | 154 |
| ლაგოდეხის | 83 | 89 | — |
| გარდაბნის | 108 | 119 | 96 |
| მცხეთის | 85 | 49 | 133 |
| მარნეულის | 113 | 109 | 82 |
| ბოლნისის | 78 | 134 | 77 |
| წალკის | 88 | 156 | 103 |
| დუშეთის | 118 | 92 | 96 |
| თეთრი წყაროს | 94 | 95 | 95 |
| დმანისის | 105 | 49 | 102 |
| თიანეთის | 109 | 134 | 76 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 93 | 208 | 32 |
| ქალაქი წყალტუბო | 98 | 90 | — |
| სამტრედიის | 98 | 118 | — |
| წულუკიძის | 84 | 117 | — |
| ვანის | 104 | 108 | — |
| მაიაკოვსკის | 91 | 124 | — |
| ზესტაფონის | 82 | 75 | — |
| თერჯოლის | 93 | 128 | — |
| ქალაქი ჭიათურა | 100 | 99 | — |
| საჩხერის | 74 | 148 | 159 |
| ორჯონიკიძის | 123 | 156 | — |
| ქალაქი ტყიბული | 133 | 98 | — |
| ონის | 85 | 5-ჯერ | — |
| ამბროლაურის | 89 | 205 | — |
| ცაგერის | 105 | 99 | 200 |
| ლენტეხის | 124 | 6-ჯერ | — |
| აბაშის | 99 | 161 | — |
| ცხაკაიას | 99 | 116 | — |
| გეგეჭკორის | 95 | 145 | 25 |
| ზუგდიდის | 93 | 119 | — |
| ხობის | 90 | 95 | — |
| წალენჯიხის | 79 | 83 | — |
| ჩხოროწყუს | 94 | 132 | 13 |
| მახარაძის | 97 | 128 | — |
| ლანჩხუთის | 102 | 109 | — |
| ჩოხატაურის | 102 | 166 | — |
| მესტიის | 60 | 215 | — |
| აფხაზეთის ასსრ | 94 | 86 | 27 |
| აჭარის ასსრ | 96 | 69 | — |
| სულ: | 95 | 105 | 94 |

ცხრილის ანალიზი მოწმობს, რომ რესპუბლიკის 35 რაიონში შარშანდელთან შედარებით შემცირდა ხბორების მონაგები, ხოლო 54 რაიონიდან 24 რაიონში — გოჭისა და 31 რაიონიდან 18 რაიონში — ბატკნისა. განსაკუთრებით შემცირდა ხბორების მონაგები მესტიის, საჩხერის, ახმეტის, ბოლნისის, ქარელის, ბორჯომის, ასპინძის, გორის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მცხეთის, წალკის, ახალციხის, წულუკიძის, ზესტაფონის, ონის, ამბროლაურისა და წალენჯიხის რაიონებში. იმის მომიზეზება, რომ ძროხები გვიან იგებენ ხბორებს, დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც გასული წლის გაზაფხულზე არა ყოფილა არავითარი მნიშვნელოვანი ობიექტური მიზეზი დაგრილების კამპანიის გაჭიანურების გამართლებისათვის. გასული წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით გაცილებით ნაკლები გოჭი მიიღეს ბორჯომის, ხაშურის, ახმეტის, მცხეთის, დმანისის, ახალციხის, კასპის, თელავის, ზესტაფონის, წალენჯიხის, ქარელის, გორის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში. ამ შემთხვევაშიც გასამართლებელი საბუთი არ არის. ხომ შეძლეს ონის, ამბროლაურის, მესტიის, ადიგენისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში, რომლებიც გაცილებით უფრო რთულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში არიან, მიეღოთ ბევრად მეტი გოჭი, ვიდრე გასული წლის პირველ ორ თვეში.

შარშანდელთან შედარებით უფრო გვიან ვადებში ჩაატარეს დოლის კამპანია ასპინძის, ბორჯომის, თიანეთის, გორის, კასპის, ბოლნისის, მარნეულის, სიღნაღის, თეთრი წყაროსა და სხვა რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. რესპუბლიკაში მიღებულია 20,4 ათასით ნაკლები ბატკანი და თიკანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის მეურნეობებში ნამატის შემცირების საკითხი, იმსჯელა ჯოგის მომრავლების გაუმჯობესების ღონისძიებებზე. აღინიშნა, რომ მეცხოველეობის ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის გაუარესება სხვა არა არის რა, თუ არა იმის შედეგი, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყურადღება მოაკლეს მეცხოველეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა გადაუწყვეტლადაც წარმოუდგენელია სულადობის ზრდა, ხორცის, რძისა და მატყლის წარმოებისა და დამზადების გადიდება.

მიუხედავად ამისა, ახლაც არ გამოუტანიათ დასკვნა წარსულის გაკვეთილებიდან, რამდენადაც იანვარ-თებერვალში დაგრილებული და დათესლილია (1976 წელთან შედარებით) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 99 პროცენტი, ასე რომ ნაკლები შანსი გვაქვს ავინაზღაუროთ დანაკლისი შემოდგომის მოგების ხარჯზე. მაგრამ დრო ჯერ კიდევ გვაქვს და საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა წელს მივიღოთ, შევინარჩუნოთ და გამოვზარდოთ რაც შეიძლება მეტი ხბო, გოჭი და ბატკანი. (საქინფორმი).

## შეხვედრები ბერლინში

ბერლინი, (საქდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, რომელიც აქ ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობასთან დაკავშირებით არის ჩამოსული.

მეგობრული, გულითადი საუბრის დროს ე. ჰონეკერმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ლაიფციგის საგაზაფხულო ბაზრობაში, დაახასიათა იგი როგორც თვალსაჩინო დიდმნიშვნელოვანი წვლილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებაში.

ამავე დღეს ნ. ს. პატოლიჩევი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა.

## ე. პაპაიოანუს განცხადება

ნიქოზია, (საქდესი). საბჭოთა კავშირის პოლიტიკას კვიპროსის საკითხში მაღალი შეფასება მისცა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის (აკელის) გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ.

საბჭოთა კავშირმა, განაცხადა მან, კვიპროსი იხსნა სრული მოსპობისაგან და ახლა დიდ დახმარებას უწევს კვიპროსელთა ბრძოლას. ამას მოწმობს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკების შედეგები, რომლებიც სრულიად გამორიცხავენ კვიპროსის მიმართ საბჭოთა პოლიტიკის არასწორ გაგებას.

აკელის გენერალურმა მდივანმა კვლავ მოითხოვა უსწრაფესად განხორციელდეს საბჭოთა წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში კვიპროსის საკითხზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ. შეეხო რა თემების მომავალ მოლაპარაკებას, მან თქვა, რომ ეს მოლაპარაკება ძნელი იქნება, მაგრამ კვიპროსის ბერძენთა მხარე მას უდგება კეთილი ნებისა და კარგი განზრახვების სულისკვეთებით. ხალხის ზურგს უკან, აღნიშნა ე. პაპაიოანუმ, არ უნდა იქნეს მიღებული არავითარი გადაწყვეტილება.

აკელის გენერალურმა მდივანმა მოუწოდა აღადგინონ მეგობრული და ჰარმონიული ურთიერთობა ქვეყნის ბერძენთა და თურქთა თემებს შორის. მთელი კვიპროსელი ხალხის საერთო მტერია იმპერიალიზმი მისი აგრესიული მისწრაფებებით, რომლის ინტერესი კვიპროსის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ კუნძულის სტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება, განაცხადა ე. პაპაიოანუმ.

## რატომ არ იცის?

ვაშინგტონი, (საქდესი). თეთრ სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეს-მდივანს შეეკითხნენ როგორ გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი „უილმინგტონის ათეულის“ ლიდერის ზანგი მღვდლის ბენჯამინ ჩეივისის წერილს ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების შესახებ.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯ. პაუელმა განაცხადა, რომ „არაფერი იცის“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობრივი უფლებებისათვის თვალსაჩინო მებრძოლის ამ მიმართვის შესახებ პრეზიდენტისადმი. ასეთი პასუხი მეტი რომ არა ვთქვათ გაუგებრობას იწვევს. ბენ ჩეივისის წერილი ხომ თითქმის ორი კვირის წინათ გაიგზავნა თეთრ სახლში. ამ წერილში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ „უილმინგტონის ათეული“ პოლიტიკური და რასისტული თვითნებობის მსხვერპლი გახდა და დაპატიმრებულ იქნა თავისი შეხედულებებისათვის.

მღვდლის ბენ ჩეივისის წერილს პრეზიდენტისადმი ყოველნაირად ჩქმალავენ იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი მჭევრმეტყველურად ცხადყოფს როგორ აღმაშფოთებლად არღვევენ ადამიანის უფლებებს თვით შეერთებული შტატების ხელისუფალნი. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ პრეზიდენტ ჯ. კარტერის ამასწინანდელი განცხადება: როცა ჩვენ სხვა ქვეყნებს ვაკრიტიკებთ ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ თვითონ არ ვიძლევით საბაბს დასაბუთებული კრიტიკისათვის.

ამ შემთხვევაში, არის ფრიად საფუძვლიანი მიზეზი ასეთი კრიტიკისათვის.

## მოლაპარაკება დამთავრდა

ვაშინგტონი, (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა დაამთავრა მოლაპარაკება ვაშინგტონში. ვიზიტის შედეგების შესახებ ოფიციალური კომუნიკე არ გამოქვეყნებულა. პრესის ცნობებით, მხარეებმა ვერა და ვერ დაძლიეს მწვავე უთანხმოებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აქვთ ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პრობლემის გამო.

მიმომხილველთა აზრით, ამერიკა-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში ყველაზე დიდ დაძაბულობას იწვევს კვლავ უთანხმოებანი, რომლებიც შეეხება იმ უდიდესი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზებს, რომელიც აზანზარებს კაპიტალისტურ სამყაროს. ბონსა და ვაშინგტონს შორის სერიოზული უთანხმოებანი გამოიწვია აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აპირებს მიაწოდოს ატომური რეაქტორის და ატომური ელექტროსადგურის სხვა მოწყობილობა ბრაზილიას.

## არჩევნები ინდოეთში

დელი, (საქდესი), ინდოეთში დაიწყო პარლამენტის სახალხო (ქვედა) პალატის არჩევნები. საარჩევნო ოლქების დაქსაქსულობის გამო არჩევნები ჩაივლის ეტაპობრივად და დამთავრდება 20 მარტს.

ჩვეულებრივ საყოველთაო არჩევნებში აქ მონაწილეობას იღებს ამომრჩეველთა 55–60 პროცენტი. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ამჯერად კენჭისყრაში მონაწილეობის პროცენტი გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ ინდოეთისათვის უპრეცედენტო პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას.

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა მთელი რიგი მემარჯვენე ოპოზიციური პარტიების გაერთიანება ჯანატა პარტის ბლოკში, რომელმაც დაასახელა ერთიანი კანდიდატები. იყენებდნენ რა ყველა საშუალებას, მემარჯვენეები გააფთრებულ კამპანიას ეწეოდნენ მმართველი ინდოეთის ეროვნული კონგრესის, აგრეთვე კომპარტიის კანდიდატებისა და დემოკრატიული ძალების კანდიდატების წინააღმდეგ.

ერთ-ერთ არჩევნებისწინა მიტინგზე გამოსვლისას, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის პროგრესულ პოლიტიკასა და ქაოსს შორის, რომელსაც ქვეყანაში გაამეფებენ მემარჯვენე პარტიების დაჯგუფებანი, თუ ისინი ხელისუფლების სათავეში მოექცნენ.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის კანდიდატები არჩევნებში გამოდიან საზოგადოების შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარების, საგარეო პოლიტიკის დარგში დამოუკიდებლობისა და მიუმხრობლობის კურსის პროგრამით.

ინდოელი კომუნისტები არჩევნებში გამოდიან ლოზუნგით — უზრუნველვყოთ პარლამენტის სახალხო პალატაში დემოკრატიული ძალების გადამწყვეტი უმრავლესობა. მთელ რიგ ადგილებში ინდოეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს კონგრესის კანდიდატებს. კომპარტია მოუწოდებს ამომრჩევლებს დაამარცხონ რეაქციული ძალები და ხმა მისცენ იმათ, ვინც დემოკრატიისა და პროგრესს ემხრობა.

არჩევნების პირველი შედეგები ცნობილი გახდება 20 მარტს საღამოს, ხოლო საბოლოო შედეგებს გამოაცხადებენ 22 მარტს.

## მოუგვარებელი უთანხმოებანი

ბრიუსელი, (საქდესი). აქ უშედეგოდ დამთავრდა „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების მინისტრების საბჭოს მორიგი სესია, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრების დონეზე გაიმართა. მწვავე უთანხმოებებმა ვერა და ვერ მისცეს საშუალება შეხვედრის მონაწილეებს კონკრეტული გადაწყვეტილებანი მიეღოთ დღის წესრიგის ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიც არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი შესასყიდი ფასების დაწესება, 200-მილიან ზონაში საზღვაო მეთევზეობის პრობლემები, და სხვ.

მწვავე წინააღმდეგობანი შეიქმნა 1977-78 წლებში შესასყიდი ფასების საკითხის გამო. იმ დროს, როცა ინგლისი ამჟამად არსებულ დონეს იცავს, ბელგიამ და საფრანგეთმა მოითხოვეს შესასყიდი ფასების 7-10 პროცენტით გადიდება. თავის მხრივ, ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებაა ფასები საშუალოდ 3 პროცენტით გაიზარდოს.

გადაუჭრელი დარჩა აგრეთვე 1977 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ 200-მილიან ზონაში საზღვაო მეთევზეობის პრობლემა.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრების საბჭოს ახლანდელ სესიას, ისევე როგორც წინა სესიებს, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიანიჭა ეკონომიკურმა სიძნელეებმა, რომლებსაც „ცხრეული“ განიცდის. კრიზისის პირობებში „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების მინისტრებს იმდენად საერთო ინტერესები არ აწუხებთ, რამდენადაც ის, რომ უფრო სუსტი პარტნიორების ხარჯზე მოაგვარონ თავიანთი ეკონომიკური უთანხმოებანი.

## ტელეტაიპის ლენტიდან საქდესი

### იაპონელ მეცნიერთა ვარაუდი

● ტოკიო. იაპონელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სურუგის ყურეში, რომელიც სიძუოკის პრეფექტურის ნაპირებს აკრავს, უახლოეს მომავალში შეიძლება მოხდეს ძლიერი მიწისძვრა. მომავალი მიწისძვრისაგან ზარალის შემცირების ღონისძიებათა შესამუშავებლად ისინი ახორციელებენ სამეცნიერო ექსპერიმენტების სერიას. კერძოდ, ამ კვირაში მეცნიერები სამ მძლავრ აფეთქებას მოახდენენ ყურეში და ამით გამოიწვევენ ხელოვნურ მიწისძვრებს. ეს მათ საშუალებას მისცემს შეისწავლონ სეისმური ტალღების გავრცელების სისწრაფე, აგრეთვე გეოლოგიური საფუძველი მიწის ზედაპირიდან რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში.

### უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა მეცნიერს

● პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. კოჟეშნიკმა აკადემიის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი „მეცნიერებისა და კაცობრიობის წინაშე დამსახურებისათვის“ გადასცა საბჭოთა მეცნიერს, აკადემიკოს ვ. ნ. რემესლოს. ეს ჯილდო საბჭოთა მეცნიერს მიენიჭა დიდი წვლილისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში, რომლის შედეგებს ფართოდ იყენებენ აგრეთვე სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში.

### მიწისძვრა ვენესუელაში

● კარაკასი. დაახლოებით 5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა რიხტერის სკალით რეგისტრირებულია ვენესუელის ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ეპიცენტრი მდებარეობს 135 კილომეტრზე რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთით. ქალაქ მარკაიში და მის ახლომდებარე დაბებში დაზიანდა ცალკეული შენობები.

## დიდი სკანდალი არიზონის შტატში

### „ცივი ომის“ აპოლოგეტი მაფიის სამსახურში

ნიუ-იორკი, (საქდესი). დიდი სკანდალი მოხდა ამერიკის არიზონის შტატში. გამომჟღავნდა ფაქტები, რომ არიზონაში ფართო, ღრმა ფესვებგადგმული კავშირი არსებობს „ამა ქვეყნის ძლიერთა“ და ორგანიზებული დამნაშავეობის მესვეურებს — მაფიას შორის.

სკანდალის ცენტრში აღმოჩნდნენ შტატის ცნობილი პოლიტიკური ფიგურები — ძმები გოლდუოტერები (ერთი მათგანი, ბარი, როგორც ცნობილია, სენატორია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში), აგრეთვე რესპუბლიკური პარტიის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე არიზონაში ჰარი როზენცვეიგი. „თითქმის სამი ათეული წელია, რაც სენატორ ბ. გოლდუოტერს, მის ძმას რობერტსა და მათ ახლო მეგობარს ჰ. როზენცვეიგს გაბატონებული პოზიციები უკავიათ არიზონის შტატში მაფიასთან მჭიდრო საქმიანი კავშირის წყალობით“. ასეთი დასკვნა გამოიტანა ჟურნალისტთა ჯგუფმა, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში იკვლევდა მაფიის ძალმომრეობას შტატში. ეს გამოკვლევა ადგილობრივი გაზეთის „არიზონა რიპაბლიკის“ კორესპონდენტმა დონ ბოლზმა დაიწყო. როგორც ცნობილია, დ. ბოლზმა ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე: მაფიის დაქირავებული მკვლელები სასტიკად გაუსწორდნენ მას.

გამოძიების მსვლელობაში გამოირკვა, რომ სენატორი ბ. გოლდუოტერი, „ცივი ომის“ ეს აპოლოგეტი, დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გააფთრებული მოწინააღმდეგე, თავის პოლიტიკურ კარიერას უშუალოდ უნდა უმადლოდეს დანაშაულებრივი სამყაროს მესვეურებს. გამორკვეულია, იუწყება გაზეთი „ნიუსდეი“, რომ მაფიის ერთ-ერთმა უწინდელმა ბოსმა ფენიქსში (არიზონა) ვინმე უილი ბაიოფმა ერთმა პირველთაგანმა დაუჭირა მხარი ბ. გოლდუოტერის კანდიდატურას ამერიკის შეერთებული შტატების სენატში არიზონისაგან 1952 წელს და 6 ათას დოლარზე მეტი შეიტანა მისი საარჩევნო კამპანიის ფონდში — იმ დროისათვის ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო.

სენატში არჩევის შემდეგ ბ. გოლდუოტერი, რომელიც ვაშინგტონში გადავიდა, განაგრძობდა მჭიდრო ურთიერთობას თავის „მფარველებთან“, გოლდუოტერთა „საოჯახო“ ბანკს ფენიქსში „ველი ნეშნლ ბენკს“, როგორც გამოძიების ავტორებმა გამოარკვიეს, ფართოდ იყენებდნენ სოლიდური დივიდენდების შესანახად, რომელიც დანაშაულებრივი სამორინო ბიზნესისაგან შემოსდიოდათ, და მაფიის სხვადასხვა „საქმიანი“ პროექტების დასაფინანსებლად.

სენატორმა, როგორც გამოირკვა, ფართოდ გამოიყენა თავისი გავლენა და კავშირი იმისათვის, რომ „დახმარებოდა“ მაფიას.

„ძმებმა გოლდუოტერებმა და ჰ. როზენცვეიგმა, — წერს „ნიუსდეი“, — მაფია არიზონაში იატაკქვეშეთიდან გამოიყვანეს, მისი მეთაურები შტატის მაღალ წრეებში შეიყვანეს და „ნათლიებს“ უდარდელი ცხოვრება მოუწყვეს“.

## სასამართლოს გადაწყვეტილება

კაირო. (საქდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის უმაღლესმა კონსტიტუციურმა სასამართლომ დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომ ქვეყნის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ქამალ ედ-დინ ჰუსეინი ამოიღონ სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატთა სიებიდან მომავალ დამატებითს არჩევნებში. ქ. ედ-დინ ჰუსეინს ჩამოერთვა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კენჭისყრის უფლება იმ გამოგონილი საბაბით, თითქოს „მას დაეკარგოს ნდობა და დაერღვიოს სახალხო კრების წევრის მოვალეობანი“.

როგორც ცნობილია, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა ეგვიპტის ხელისუფალთა მიერ გამოცხადებული რეპრესიული ღონისძიებანი, რომლებიც იმით იყო გამოწვეული, რომ ამა წლის იანვარში მთელ ქვეყანას მოედო ხალხის ფართო მასების მღელვარება. კაიროსა და ეგვიპტის სხვა ქალაქების ქუჩებში გამოსულმა მშრომელებმა პროტესტი გამოთქვეს ფასების განუწყვეტელი მატების, ცხოვრების დონის დაქვეითებისა და ბევრ სურსათზე სახელმწიფო სუბსიდიების გაუქმების წინააღმდეგ.

ქამალ ედ-დინ ჰუსეინმა გაილაშქრა აგრეთვე „ეროვნული ერთიანობისა და მოქალაქეთა უშიშროების დაცვის“ შესახებ ეგრეთ წოდებული კანონის გამო რეფერენდუმის წინააღმდეგ, რომელიც იმ მიზნით მოეწყო, რომ მოეწონებინათ საგანგებო რეპრესიული ღონისძიებანი.

## მოკლეს ქ. ჯუმბლათი

ბეირუთი, (საქდესი). გუშინ მოკლეს ლიბანის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროგრესული სოციალისტური პარტიის ლიდერი ქამალ ჯუმბლათი. მკვლელობა მოხდა სოფელ მუხტარიდან ბეირუთში მიმავალ გზაზე, დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ჯუმბლათის სახლია. ქ. ჯუმბლათთან ერთად დაიღუპა ორი მისი თანმხლები პირი.

ეს მკვლელობა შეიძლება მივიჩნიოთ პროვოკაციულ ცდად კვლავ გაამწვავონ მდგომარეობა ლიბანში. მკვლელები ჯერ კიდევ არ დაუსახელებიათ, მაგრამ ეჭვი არ არის, ისინი იმ ძალების იარაღი იყვნენ, რომლებიც შეთქმულებას აწყობენ ლიბანის წინააღმდეგ.

## ფაშისტური ხუნტა—სამარცხვინო ბოძზე!

## ვერ დააჩოქებენ

ჩილეში ახლა ზაფხულია. ასეთია ბუნების კანონი. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს ხუნტის ლაქიები გაჰყვირიან, რომ ჩილეში... გაზაფხული დადგა — პოლიტიკური გაზაფხული. ასეთია ხიცრუის „ლოგიკა“.

ცდილობენ რა ნამდვილი ვითარების მიჩქმალვას, პინოჩეტის დამქაშები ყოველნაირად ბერავენ მითს რეჟიმის „ლიბერალიზაციის“ შესახებ.

საქვეყნოდ გამოაცხადეს ტრეს-ალამოსა და პუჩუნკავის საკონცენტრაციო ბანაკების გაუქმების შესახებ, ხოლო მსოფლიო საზოგადოებრიობისაგან ჩალულად ჩილეს მიწაზე ახალი ბანაკები გაჩნდა. წინანდებურად გრძელდება პოლიტპატიმართა წამება, ჩილელი ხალხის ფიზიკური და მორალური ჩახშობის ფაშისტური პოლიტიკა. მაგრამ ისტორიას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ძნელია ხალხის მორჩილად დაჩოქება. გარდუვალია ის დრო, როცა თვით ხალხი დააჩოქებს ჯალათებს.

ფოტომონტაჟები ჟურნალ „კონტაქტიდან“ (გდრ) და გაზეთ „ვარკაიტიდან“ (დასავლეთ ბერლინი).






## ანექსიის ნაქუზება

რომი. (საქდესი). ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ი. რაბინმა კნესეტს (პარლამენტის) სხდომაზე გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ამასწინანდელი ვიზიტისა და პრეზიდენტ ჯ. კარტერთან მოლაპარაკების შესახებ.

დაიმოწმა რა პრეზიდენტის გამონათქვამი, რაბინმა ხაზი გაუსვა, „განასხვავა რა ისრაელის პოლიტიკური საზღვრები და დაცვითი საზღვრები, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ნაბიჯი გადმოდგა ჩვენსკენ“.

თუ რას ნიშნავს ისრაელის „დაცვითი საზღვრები“, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ოკუპანტების საქმიანობა მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე. დღეს ეს „საზღვრები“ გამოჰყავთ არა ტუშით რუკაზე, არამედ სამხედრო სიმაგრეთა ამბრაზურებით, სტრატეგიული გზების ასფალტით, გასამხედროებულ დასახლებათა ბეტონის ბლოკებით მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, სინის ნახევარკუნძულსა და გოლანის მაღლობებზე.

ტერიტორიას, რომელიც თელ-ავივს სურს „დე-ფაქტო“ გადააქციოს ისრაელის ტერიტორიად 1976 წლის საზღვრების „უმნიშვნელოდ შეცვლის“ ფარგლებში, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგებიან, როგორც ჩანს, არ აპირებენ დაუბრუნონ არაბებს.

ეგვიპტის კუთვნილ სინის ნახევარკუნძულზე ისრაელები აშენებენ ქალაქს შარმ-აშ-შეიხის რაიონში, რომელიც უნდათ გადააქციონ ავიაპოსტად ტირანის სრუტეზე ისრაელის კონტროლის დაწესებისათვის. ღაზის სექტორში აგებენ ქალაქს — ნავსადგურ იამიტს, რომელიც ოკუპანტებს სურთ გადააქციონ ისრაელის გასამხედროებულ დასახლებათა ცენტრად სექტორის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. შარმ-აშ-შეიხიდან იამიტამდე გაყვანილი ხაზი ჩამოჭრის სინის მესამედს, რომელიც თელ-ავივს არ სურს დაუბრუნოს ამ ტერიტორიის კანონიერ მფლობელებს.

ყბადაღებულ „ალონის გეგმის“ თანახმად, რომელიც ისრაელის ახლანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოაყენა ჯერ კიდევ 7 წლის წინათ, ეს დასახლებანი სამუდამოდ უნდა დაექვემდებარონ თელ-ავივის კონტროლს.

იერუსალიმის არაბულ ნაწილში, რომელიც ოფიციალურად ანექსირებულია ისრაელის ხელისუფალნი არაბთა კუთვნილ მიწაზე აშენებენ მთელ უბნებს. ქალაქის მახლობლად შექმნილია მსხვილი სამრეწველო ცენტრი. ისრაელთა უბნები გაჩნდა აგრეთვე არაბთა ქალაქ ჰებრონში დასავლეთ ნაპირზე.

ყველა ეს აქცია შედის „დაცვითი საზღვრების“ ისრაელურ კონცეფციაში, რომელიც ესოდენ ხალისით გაიზიარეს ვაშინგტონში. თელ-ავივში კი ცინიკურად ლაპარაკობენ, რომ უკვე დამთავრებული 70 გასამხედროებული დასახლების მშენებლობა იმისათვის როდი დაიწყეს, რომ შესაძლო მშვიდობიან მოწესრიგებისას ხელი აეღოთ ამ დასახლებებზე.

## ყველაფერზე

### ფერი და ადამიანის თვალი

რამდენი ფერი და შეფერილობა შეუძლია გაარჩიოს ადამიანის თვალმა? მილიონი! — ამტკიცებს ბუდაპეშტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფი. ფერის თვისებებს რომ სწავლობდნენ, სპეციალისტებმა (მხატვრებმა, მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა, ინჟინერმა, ექიმმა, ფსიქოლოგმა და სხვებმა) განსაზღვრეს ადამიანის ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ზოგიერთი თავისებურებანი. მათ, მაგალითად, დაადგინეს, რომ ადამიანი ფერზე რეაგირებს მაშინაც კი, როცა მას ვერ ხედავს.

დადგენილია, რომ ფერები სხვადასხვაგვარად მოქმედებს მამაკაცსა და ქალზე. საყვარელი ფერის დანახვაზე ქალს, მამაკაცისაგან განსხვავებით, მაჯისცემა უხშირდება.

ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებზე და ბოროტმოქმედებზე ფერის ზემოქმედების კვლევისას უნგრელი სპეციალისტები იმ დასკვნებამდე მივიდნენ, რომ ისინი, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებით, უპირატესობას მუქ ტონებს ანიჭებენ.

### გარგანტუას კასრი

სად არის ყველაზე დიდი ღვინის კასრი? ბრნოს (ჩეხოსლოვაკია) მახლობლად მდებარე სოფლის მიკულოვას მცხოვრებთ მიაჩნიათ, რომ მათს სოფელში. კასრი-გიგანტი, რომელიც ადგილობრივ ღვინის სარდაფშია მოთავსებული, 10 ათას 100 ლიტრ ღვინოს იტევს. მისი სიგრძეა 6,5 მეტრი, ხოლო სიგანე — ოთხნახევარი მეტრი. კასრს აქვს 22 რკინის სალტე და თვითეული 390 კილოგრამს იწონის. კასრი 334 წლისაა. ადგილობრივი გადმოცემით, იგი ოსტატმა კრიშტოფ შპეხტმა დაამზადა, რასაც 250 დღე მოანდომა. (აას).

### იშვიათი ნაპოვნი

პერუს სამხრეთში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დღემდე უცნობი გიგანტური ზომის ცხოველის ნარჩენები. მისი თვითეული კბილის სიგრძე 20 სანტიმეტრს აღწევს. მეცნიერთა აზრით ეს ცხოველი 100-250 მილიონი წლის წინათ ბინადრობდა. ნაპოვნმა, იუწყება პრენსა ლატინას სააგენტო, შესაძლოა პერუს უძველესი ფაუნის შესახებ არაერთი მეცნიერული თეორიის გადასინჯვა გამოიწვიოს.

პრესის მიმოხილვა

# ვინ უთხრის ძირს დაძაბულობის შენელებას

### საკადრისი პასუხი ცილისმწამებლურ კამპანიას

სოციალისტური სახელმწიფოების პრესა მტკიცე პასუხს სცემს ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური ქვეყანა აწარმოებენ იმ აშკარად ყალბი ბრალდების გარშემო, რომ თითქოს სოციალისტურ ქვეყნებში „ირღვეოდეს ადამიანის უფლებები“.

პრესა ხაზს უსვამს, რომ ამგვარი პროვოკაციული კამპანიები პირველად როდი ჩაღდება შეერთებულ შტატებში. მათი ინიციატორები ყოფილან და არიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურები, რომელთა მოგებას დაძაბულობის შენელებამ და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალურმა განვითარებამ შეიძლება საკმაო ზარალი მიაყენოს.

ამასთან დაკავშირებით სოციალისტური ქვეყნების გაზეთები ყურადღებას მიაპყრობენ კიდევ ერთ ახალ გარემოებას: ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ცნობილ პოზიციას.

„ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, რით არის ეს გამოწვეული: ამერიკის ახალ ადმინისტრაციას გამოცდილება არა აქვს, თუ სხვა რამეთი... მაგრამ, ფაქტია, რომ მისი მოქმედება ხშირად თვით ამერიკელებსაც არ ესმით, — წერს პოლონური „ჟიჩე ვარშავი“. — ნუთუ თეთრ სახლს არ ესმის, რომ, როცა დაძაბულობის შენელების შესახებ დიალოგის მონაწილე სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ერევა, მნიშვნელოვნად ართულებს ჟამისოდაც საკმაოდ ძნელ საუბარს ამ თემაზე?“.

„გარდა ამისა, — განაგრძობს გაზეთი, — საფუძველი გვაქვს ვიკითხოთ, აქვს თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს მორალური უფლება განაცხადოს „ადამიანის თავისუფლებისათვის მებრძოლის“ პრეტენზია. უნდა გავიხსენოთ, რომ შეერთებულ შტატებს ხელი არ მოუწერია და არც დაუმტკიცებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ჯერ კიდევ 1966 წელს მიღებული საერთაშორისო პაქტები მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

როცა სხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველის როლს იჩემებს, ამერიკის ადმინისტრაცია უგულებელყოფს თავისი საკუთარი ქვეყნის მდგომარეობას. იგი თითქოს ვერ ამჩნევდეს ექსპლოატაციას, დისკრიმინაციას, პოლიტიკურ დევნას, უმუშევრობას და გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოვლისშემძლეობას, — წერს გაზეთი. — ცამდე აჰყავს რა ეგრეთწოდებული „დისიდენტები“, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ავიწყდება ზანგების მდგომარეობა ამერიკაში, პუერტორიკოელთა უუფლებობა, რეზერვაციებში გადაშენების გზაზე მდგარი ინდიელები“.

უნგრული „ნეპსაბადშაგი“ წერს: „რამდენი ცინიზმი და ფარისევლობაა საჭირო, რომ სწორედ ისინი, ვინც რამდენიმე ათეულ მილიონ ადამიანს ართმევს ყველაზე ელემენტარულ უფლებებს, არსებობისათვის შრომის შესაძლებლობას, ვინც ხელს აფარებს პინოჩეტის ფაშისტთა მასობრივ მკვლელობებს, ვინც რასისტული რეჟიმები შექმნა სამხრეთ აფრიკაში, სოციალისტურ ქვეყნებში რამდენიმე ათეული პიროვნების „დაცვის“ საბაბით, რომლებიც კანონებს არღვევენ და ვასამართლებული არიან სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, — ლაპარაკობენ „ადამიანის უფლებებზე“.

სამხედრო თვალსაზრისით იმპერიალისტებს არ შეუძლიათ მოსპონ ძალთა ახალ თანაფარდობაზე დაფუძნებული პროცესები, — წერს უნგრული ყოველკვირეული „მადიარორსაგი“. — პოლიტიკურ დარგში მათი შესაძლებლობანი აგრეთვე შეზღუდულია მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარმატებებისა და კაპიტალისტური სამყაროს შინაგანი არასტაბილურობის შედეგად. ეკონომიკურ შეჯიბრებაში მათ ხელს უშლის კაპიტალიზმის ღრმა კრიზისი. ამიტომ სურთ სულ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ცილისწამებას: ხატავენ სინამდვილის ყალბ სურათს, შემდეგ კი ყალბი დასკვნები გამოაქვთ.

სოციალისტური ქვეყნების საშინაო დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ მიმართული კამპანია სურთ გადააქციონ პროპაგანდისტულ „ჯვაროსნულ ლაშქრობად“ სოციალიზმისა და კომუნიზმის, დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. მაგრამ სოციალიზმი, კომუნიზმი, დაძაბულობის შენელება ჩვენი ეპოქის ისეთი პროცესია, რომელსაც დიდხანს ვერ გაუწევ წინააღმდეგობას, — ხაზს უსვამს „მადიარორსაგი“. — ამ პროცესს ხომ ასაზრდოებენ პროგრესისა და მშვიდობის ძალები, რომლებიც ჩვენი პლანეტის უმრავლესობას შეადგენენ.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პრესა კანონიერ აღშფოთებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ჩარევის გამო და ყურადღებას მიაპყრობს შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის ამგვარ პოლიტიკას.

„დღეს, — წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“, — ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი მცხოვრები ასეთ კითხვას სვამს: რის მომკა სურს დემოკრატთა მთავრობას იმ შხამიანი თესლით, რომელსაც ისინი თესავენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში? მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ მებრძოლი ანტისაბჭოთა ელემენტების მხარდაჭერა ხომ ეწინააღმდეგება ამერიკის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებს. ეს უკანასკნელი უდავოა კარს უხსნის ყველაზე რეაქციულ ძალებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც ილაშქრებენ მშვიდობიანი თანაარსებობის, შეიარაღებისა და სამხედრო ბიუჯეტების შემცირების წინააღმდეგ. თუ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მთავრობას ჰგონია, რომ ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა მოქმედებით დაიმსახურებს ამერიკის უკიდურესი რეაქციის კეთილგანწყობილებას და შეანელებს მის წინააღმდეგობას, ეს ბეცი პოლიტიკაა“.

„ასრულებს რა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის — საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აშკარა მოწინააღმდეგის ნებას, ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ეგრეთწოდებული „დისიდენტების“ მხარდაჭერით ადვილად მოხვდება იმათ ტყვეობაში, ვინც ყოველნაირად ცდილობს წინააღუდგეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების დადებას, — წერს პრაღის გაზეთი „პრაცე“. — ამერიკის ადმინისტრაცია საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მშვიდობიან მომავალს, ყველაფერს, რაც მოპოვებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელების შედეგად“.

„ბელგრადის მომავალი შეხვედრისათვის მზადებაში, — წერს იუგოსლავური „ბორბა“, — ვაშინგტონი ძირითადად ყურადღებას უთმობს დისკუსიებს ადამიანის უფლებათა შესახებ, მაშინ როცა, საბოლოო აქტის სხვა ნაწილებს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ამერიკის შეერთებულ შტატებს მეტისმეტად დიდი ვალი დაედო ჰელსინკის დოკუმენტის ბევრი პრინციპის შესრულების თვალსაზრისით. ეს განეკუთვნება არა მარტო მესამე ნაწილს, არამედ საბოლოო აქტის დანარჩენ ნაწილებსაც.

(საქდეს).

## ჭეშმარიტად სახალხო

[illegible] პორტრეტი



### ბორის ჩირკოვი — ჩვენი სტუმარი

**მოსკოვის** ნ. გოგოლის სახელობის თეატრის აფიშებს ამშვენებს თვალსაჩინო საბჭოთა მსახიობის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრკ სახალხო არტისტის ბორის პეტრეს-ძე ჩირკოვის სახელი. დღეს ეს დიდი ხელოვანი თეატრთან ერთად ჩვენი ქალაქის სტუმარია და ჩვენი საზოგადოებრიობის დამსახურებულ ყურადღებასა და ინტერესს იწვევს.

რთული და საინტერესოა ამ შემოქმედის ცხოვრება — 1926 წელს ლენინის ქალაქში მან ლენინგრადის სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი დაამთავრა, იქვე შევიდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასში, სულ მალე მიიპყრო მაყურებელთა ყურადღება ცოცხალი, ჭეშმარიტი ხალხური ტრადიციებით შექმნილი სცენური სახეებით — ივანუშკა („კუზიანი კვიცი"), სანჩო პანსა („დონ კიხოტი"), ულენშპიგელი („ლეგენდა ულენშპიგელზე") და სხვ.

20-იან წლებში ახალგაზრდა მსახიობი ნ. ჩერკასოვთან (პატი) და პ. ბერიოზოვთან (ჩარლი ჩაპლინი) ერთად ესტრადაზე (მინიატურაში „პატი, პატაშონი და ჩარლი ჩაპლინი") ბურთივით მრგვალ, გულუბრყვილო და სასაცილო პატაშონს ასახიერებდა. კომედიურ როლებს ასრულებდა ბ. ჩირკოვი ლენინგრადის წითელი თეატრისა და მოზარდთა ახალი თეატრის სცენებზე. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მას ფელდფებელის როლში (სპექტაკლი „მუსიკოსების გუნდი").

ამავე წლებში მან ითამაშა ჯარისკაცი ვლასი („მესამე ვერსი"), ცრუმარქვია დიმიტრი („ბორის გოდუნოვი"), პროფესორი ვედელი („გაგრძელება იქნება"). ბორის ჩირკოვმა შესანიშნავად შეისისხლხორცა რუსული თეატრის ხალხური ტრადიციები, მის მიერ შექმნილ სახეებს უკვე იმ პირველ წლებში ახასიათებდა უშუალობა, მიმზიდველობა, ჭკვიანური იუმორი.

რამისშემდგომ წლებში ბორის ჩირკოვმა თავი გამოიჩინა კინომსახიობის თეატრში, სადაც დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით განასახიერა მკვეთრად დრამატული როლები — კუზოვკინი (ი. ტურგენევის „მდგმური"), მიკოლა ზადაროჟნი (ი. ფრანკოს „მოპარული ბედნიერება"), ლებედევი (ა. ჩეხოვის „ივანოვი"). ყოველ ამ სახეში ბ. ჩირკოვი ეძიებდა ადამიანის განცდათა სიღრმესა და სიმართლეს, გამოდიოდა „პატარა", შეუმჩნეველი ადამიანის დამცველად. მისი შესრულებით მოხუცი კუზოვკინი მარტო ბედისა და ადამიანებისაგან დაჩაგრული მოხუცი კი არ იყო, არამედ არსება, რომელიც პროტესტის სიმაღლემდე ადიოდა და მღელვარე თანაგრძნობას იწვევდა მაყურებლებში. ჭეშმარიტად ტრაგიკული იყო მსახიობი ღატაკი უკრაინელი გლეხის მიკოლა ზადაროჟნის როლში.

ბორის ჩირკოვის ნიჭმა განსაკუთრებით იჩინა თავი კინოხელოვნებაში. გახმაურებულმა საბჭოთა ფილმებმა „მაქსიმის სიჭაბუკე", „ვიბორგის მხარე" და „მაქსიმის დაბრუნება" მას ფართო პოპულარობა მოუპოვეს. უდიდესი სიმართლითა და მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ბოლშევიკ მაქსიმის სახე საყვარელი და მახლობელი გახდა საბჭოთა ადამიანის თაობებისათვის. მაქსიმის უდარდელ, უბრალო ხალხურ სიმღერას ხალხში მღეროდნენ და მღერიან დღესაც. აღნიშნულ ფილმებს გარდა, ბ. ჩირკოვი მთავარ როლებს წარმატებით თამაშობდა სხვა ფილმებში („გლინკა", „მასწავლებელი", „ძველი მეგობრები", „დონეცკის მეშახტეები" და სხვა.). ვისაც „ჩაპაევი" უნახავს, არასოდეს დაავიწყდება რუსი გლეხის ეპიზოდური სახე, რომელსაც ბ. ჩირკოვი ჭეშმარიტი ოსტატობითა და შთაგონებით ასახიერებდა.

ბორის ჩირკოვი მოსკოვის ნ. გოგოლის სახელობის თეატრში 1966 წელს მოვიდა, შექმნა ბევრი შესანიშნავი სცენური სახე, მათ შორის რასპუტინი („დედოფლის შეთქმულება"), პრიზიტკოვი („უკანასკნელი მსხვერპლი"). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი კოლმეურნის აგაბო ბოგვერაძის სახე ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის ე. ეგაძის მიერ ცოცხლად და საინტერესოდ დადგმულ სპექტაკლში „სანამ ურემი გადაბრუნდება" (მხატვრები — ი. ჩიქვაიძე, ა. სლავინსკი, ო. ქოჩაკიძე). ბ. ჩირკოვმა ამ როლში იმის თვალნათლივი მაგალითი გვიჩვენა თუ როგორ უნდა გარდაისახოს მსახიობი, როგორ ჩასწვდეს სხვა ეროვნების კაცის ფსიქოლოგიას. ბ. ჩირკოვი თითქმის არსად არ ცდილობს ეთნოგრაფიული მასალის, ეგზოტიკის მოშველიებას, იგი თამაშობს გლეხს, ადამიანს, უყვარს იგი და უთანაგრძნობს მას. მსახიობი ამ როლს ასახიერებს საოცარი გატაცებით, რწმენით, ეძიებს ხერხებს თავისი გმირის შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად, მოხერხებულად იყენებს თანდაყოლილი იუმორის იმ გრძნობას, რომელიც მუდამ აფერადებს, საინტერესოს ხდის მის მიერ შექმნილ სახეებს...

ბ. ჩირკოვი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია, მრავალგზის მოგვისმენია მისი გამოსვლები ტელევიზიით. აქტიური ხელოვანი-მოქალაქე ბ. ჩირკოვი მუდამ ცხოვრების ორომტრიალშია. იგი მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის საქმიანობასთან როგორც კომუნისტი, საზოგადო მოღვაწე, როგორც ხალხის რჩეული დეპუტატი. ბ. ჩირკოვის ხელოვნებას იცნობენ. ხალხმა, მთავრობამ დიდად დააფასეს მისი დამსახურება, მას რამდენიმეჯერ მიენიჭა სახელმწიფო პრემიების ლაურეატობა.

...არიან ხელოვანნი, რომელთა ცხოვრება, ხელოვნება განუყოფელია ხალხის ცხოვრებისაგან, ისინი წარუშლელ კვალს სტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში, დაუვიწყარი ხდებიან მათ მიერ შექმნილი მხატვრული სახეები. სწორედ ასეთი, ჭეშმარიტად ხალხურია ხალხის წიაღიდან გამოსული ბ. ჩირკოვი — ადამიანი, შემოქმედი და მოქალაქე.

**ნ. შალუტაშვილი,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

## დიდი წარმატებით

### ლ. ისაკაძის გასტროლები დასავლეთ გერმანიაში

**ბონი,** (საქინფორმი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა მევიოლინის ლიანა ისაკაძის გასტროლები. რეცენზიაში რურის სამრეწველო ცენტრში — ქალაქ დორტმუნდში საბჭოთა მუსიკოსის გამოსვლის გამო გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ" ხაზს უსვამს, რომ ლ. ისაკაძემ „ბრწყინვალედ გამოავლინა თავისი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა".

## პრემია — ქართველ მხატვარს

**ქ. ვილნიუსში** მოსკოვის, ლენინგრადისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სცენოგრაფისტთა მეორე ტრიენალეზე მონაწილეობისათვის ორგკომიტეტმა მიიწვია საქართველოს თეატრალური მხატვრები: რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები — ო. ქოჩაკიძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიქვაიძე, მხატვრები გ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გეგეშიძე, გ. გუნია, მ. მალაზონია და მ. მურვანიძე.

ქართველ მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიცია დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით ლიტვის სსრ თეატრალური საზოგადოების სპეციალური პრემია მიენიჭა მხატვარ გიორგი გუნიას სპექტაკლების „მეფე ლირის", „პიკის ქალის", „ლელას", „ქამთა სიავის" და „სოკრატეს" ესკიზებისათვის.

# სპორტი

### ჭადრაკი

## პრეტენდენტთა მატჩებზე

**ლიუცერნში,** პოლუგაევსკი-მეკინგის მატჩის მეშვიდე პარტიაში საბჭოთა დიდოსტატი თეთრებით თამაშობდა. ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა და ანგარიში გახდა 4:3 პოლუგაევსკის სასარგებლოდ. მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ იმ ამბავს, რომ წინა, მეექვსე პარტიაში მეკინგს, ჯერ ძალიან მძიმე პოზიცია ჰქონდა, შემდეგ კი პოლუგაევსკი შეცდა და უკვე მას მოუხდა ყაიმის ძებნა. ამ მატჩში გასათამაშებელი დარჩა 5 პარტია.

ჩოკოში გამართულ მეექვსე პარტიაში პეტროსიანმა მოუგო კორჩნოის. ანგარიში გახდა 3:3.

როტერდამში ლარსენი მეშვიდე პარტიაში თეთრებით ეთამაშებოდა პორტიშს. პარტია გადაიდო პორტიშისათვის რამდენადმე უკეთეს პოზიციაში. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პორტიში თეორიული მომზადებით აშკარად ჯობნის მეტოქეს და ეს განაპირობებს მის უპირატესობას. ანგარიში ჯერჯერობით კვლავ პორტიშის სასარგებლოდაა — 4:2.

## ჩემპიონი კვლავ ლიდერობს

**მსოფლიოს** ჩემპიონი ანატოლი კარპოვი კვლავინდებურად განაგრძობს ლიდერობას დიდ საერთაშორისო ტურნირზე დასავლეთგერმანულ ქალაქ ბად-ლაუტერბერგში. ცხრა ტურის შემდეგ მას 7 ქულა აქვს. მორიგი შეხვედრა ა. კარპოვმა ფრედ დაამთავრა დიდოსტატ ულფ ანდერსონთან (შვეცია). მეორე ადგილზეა რობერტ ჰიუბნერი (გფრ), რომელიც ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს. წინ კიდევ ექვსი ტურია.

## ხუგაშვილის გამარჯვება

**თბილისელმა** ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა კონკურსგარეშე ითამაშა ერევნის ჩემპიონატში ქალთა შორის. მან ჩინებულად წარმართა ეს შეჯიბრება და 14 შესაძლებლიდან 13 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა.

### ორიოდე სიტყვით

**კალათბურთი.** გუშინ კაუნასში ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამო" შეხვდა ადგილობრივ „ჟალგირისს". ანგარიშით 105:94 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**მოსკოვის** ოლქის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა მოსკოვში ლილიან რონკეტის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 95:72 სძლია სოფიის „ლოკომოტივს". მათი პირველი შეხვედრა აგრეთვე საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 85:48. „სპარტაკი" ფინალში გავიდა. 30 მარტს იგი რიგაში შეხვდება ბულგარეთის „მინიორს".

**წყალბურთი.** საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში ძერჟინსკში თბილისის „დინამომ" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ვოლგოგრადის „სპარტაკი" — 6:5 (1:1, 0:1, 3:0, 2:3). მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო „მოსკვიჩს" — 7:6. კიევის „დინამომ" — მოსკოვის „ტორპედოს" — 5:4.

**ჰოკეი.** საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ჩელიაბინსკის „ტრაქტორმა", რომელმაც გორკში ფრედ — 3:3 ითამაშა ადგილობრივ „ტორპედოსთან". მოსკოვის „სპარტაკმა" ანგარიშით 6:4 დაამარცხა წლევანდელი ჩემპიონი ცსკა.

**ფრენბურთი.** პირველი დამარცხება განიცადა საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდმა, რომელსაც ანგარიშით 3:1 სძლია კიევის „ბურევესტნიკმა". წარუმატებლად გამოვიდა აგრეთვე ცსკა, რომელიც მეორე ადგილზე იმყოფება. არმიელებმა წააგეს ტაშკენტის „ავტომობილისტთან" — 0:3.

**ხელბურთი.** ქალაქ ბებლინგენში (გფრ) გაიმართა სსრ კავშირისა და გფრ-ის ვაჟთა ნაკრები გუნდების მეორე მატჩი. ანგარიშით 20:16 (11:10) გაიმარჯვეს საბჭოთა ხელბურთელებმა.

### ფეხბურთი

## ევროპის თასებზე

**კონტინენტის** თასების გათა[illegible] [illegible] მეოთხედფინალური მა[illegible] [illegible] ბე[illegible] უკანასკნელ წუთებში გადაწყ[illegible] ასე იყო კიევში, სადაც როგორ[illegible] ჩვენი მკითხველებისათვის უკ[illegible] ცნობილია, ადგილობრივმა დინ[illegible] მოელებმა შეხვედრის 83-ე [illegible] 86-ე წუთებზე გაიტანეს ბურთ[illegible] ბი ამ საპატიო თასის სამგზ[illegible] მფლობელის — მიუნხენის „ბა[illegible] რიას" კარში.

იგივე გამეორდა ინგლის[illegible] „ლივერპულისა" და საფრანგეთ[illegible] „სენტ-ეტიენის" მატჩში, რომ[illegible] საც ბრიტანელებმა 84-ე წუთ[illegible] გადამწყვეტი გოლი გაიტანეს მ[illegible] ტოქის კარში და გაიმარჯვეს ა[illegible] გარიშით 3:1. (შეგახსენებთ, რ[illegible] პირველ მატჩში წარმატებას ფრ[illegible] ნგებმა მიაღწიეს — 1:0). „ლ[illegible] ვერპული" ნახევარფინალში გ[illegible] ვიდა.

ასევე 82-ე წუთზე გაიტან[illegible] გფრ-ის „ბორუსიის" (მენხენგლ[illegible] დბახი) ფეხბურთელებმა ერთად[illegible] ერთი გადამწყვეტი ბურთი ბელ[illegible] გიის „ბრიუგეს" კარში და ნახ[illegible] ვარფინალში გავიდნენ.

ევროპის ჩემპიონთა თასის გ[illegible] თამაშების მეოთხე ნახევარფინა[illegible] ლისტია შვეიცარიის „ციურიხი". მართალია, მან დრეზდენში (გდ[illegible]) ანგარიშით 2:3 წააგო ადგილობ[illegible] რივ „დინამოსთან", მაგრამ პირ[illegible] ველი მატჩი მოგებული ჰქონდ[illegible] უკეთესი ანგარიშით — 2:1.

ამ გათამაშების ნახევარფინა[illegible] ლური მატჩები გაიმართება 6 [illegible] 20 აპრილს. მოასპარეზეთა წყვი[illegible] ლებს გამოავლენს დღევანდელ[illegible] წილისყრა ციურიხში.

აი ვინ განაგრძობს დავას თა[illegible] სების მფლობელთა თასისათვის: ესპანეთის „ატლეტიკო" (მადრიდი), ბელგიის „ანდერლეხტი", გფრ-ის „ჰამბურგი" და იტალიის „ნაპოლი".

მოგვყავს უეფა-ს თასის გათამაშების ნახევარფინალური ოთხეული: ესპანეთის „ატლეტიკ" (ბილბაო), საბერძნეთის აეკ-ი, იტალიის „იუვენტუსი" და ბელგიის „რესინგ უაიტი".

## მოედანზე გამოვა... მეტიუზი

**პრაღა,** (საქინფორმი). 62 წლის სერ სტენლი მეტიუზმა, რომელიც ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებში 84-ჯერ გამოვიდა და ქვეყნის ჩემპიონატში 50 წლისას უთამაშია, ჩეხოსლოვაკიიდან მიწვევა მიიღო, ამ ქვეყანაში სტუმრობის დროს ინგლისის ფეხბურთის წინა წლების „ვარსკვლავმა" ნახა უმაღლესი ლიგის გუნდის „სლავიას" ვარჯიში, აგრეთვე პრაღის „სპარტასა" და „ტეპლიცეს" მატჩი.

მიმდინარე წლის ზაფხულში მეტიუზი კვლავ აპირებს ეწვიოს პრაღას. სერ სტენლის განცხადებით იგი არა მარტო ფეხბურთელთა მაყურებელი იქნება, არამედ თვითონაც გამოვა მოედანზე ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში.

### ამინდი

**გუშინ** 13 საათზე დასავლეთ საქართველოში მშრალი, მოღრუბლული ამინდი იდგა, ყველაზე მეტი სითბო — 12 გრადუსი გაგრაში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 8-11, მთებში 4-9 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან წვიმდა, დაბლობ რაიონებში 7-9, მთებში 3-8 გრადუსი სითბო აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 10 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს აფხაზეთში უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 13-18 გრადუსი, აჭარაში მცირე წვიმა იქნება; ტემპერატურა 12-17 გრადუსი, კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა 14-19 გრადუსი.

სამხრეთ ოსეთში მოსალოდნელია ზოგან მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 8-13 გრადუსი, ბორჯომის ხეობაში — მცირე ნალექი, ტემპერატურა 7-12 გრადუსი სითბო, ქართლსა და კახეთში — მცირე წვიმა, ნისლი, ტემპერატურა 5-10 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ტემპერატურა 12-14 გრადუსი.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## ემოციები: ბოროტებაა თუ სიკეთე?

— **ჰიპერტონია** ადამიანის ნერვული სისტემის გართულებათა გრძელი ჯაჭვის მხოლოდ ტრაგიკული ფინალია. ამიტომაც ავადმყოფობის მარტო საბოლოო ფაზისადმი ყურადღება თანამედროვე მედიცინის დიდი შეცდომაა, — თქვა ანოხინის სახელობის ნორმალური ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კონსტანტინე სუდაკოვმა. — ავადმყოფობა იწყება თითქმის შეუმჩნეველი ქიმიური რეაქციებით — თავის ტვინის ნივთიერების მოლეკულებში, რომლებიც აჯამებენ ყველაფერს, რაც ადამიანმა თავისი სიცოცხლის მანძილზე განიცადა: უარყოფითი ემოციები, ხანმოკლე და ხანგრძლივი უსიამოვნებანი.

ეს მტკიცება უსაფუძვლო არ არის. საბჭოთა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჰიპერტონია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ყალიბდება. გამოვლენილია ტვინის მექანიზმები, რომელთა საშუალებით სტრესს, ხანგრძლივ უარყოფითს ემოციებს წნევის სტაბილური მომატება მოჰყვება ხოლმე.

### დამნაშავეა თუ არა ჰორმონები?

**1900 წლიდან** მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მრუდი მკვეთრად აიწია. ამ დაავადებებით იმდენი ადამიანი იხოცება, რამდენიც კიბოსა და ტრავმისაგან. ინსულტები, ინფარქტები „ახალგაზრდავდება". თუ საუკუნის დამდეგს ისინი ხანში შესულ ადამიანთა ხვედრი იყო, ახლა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მსხვერპლი 30-40 წლისანიც ხდებიან. ამ ბოლო წლებში წარმოიშვა ბავშვთა ჰიპერტონიის პრობლემა.

მკვლევართა უმრავლესობა ამ „ეპიდემიას" უკავშირებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს: მეტისმეტ ინფორმაციულ დატვირთვას, ცხოვრების მკვეთრად გაზრდილ რიტმს, ურბანიზაციას. ამის ახსნა შეიძლება. ჰიპერტონია მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ემართებათ ადამიანებს განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, ქალაქელებს, სოფლელებთან შედარებით, თუმცა განსხვავება ახლა მცირდება.

ჰიპერტონიის, ინფარქტის წარმოშობაში ემოციური სტრესის როლი ექსპერიმენტულად დამტკიცებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლაბორატორიებში. მაგრამ ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული მკვლევართა ყურადღება მიპყრობილი იყო ენდოკრინული მექანიზმებისადმი — ყოველგვარი უსიამოვნების პირველწყაროსადმი. მართლაც, ხანგრძლივი უარყოფითი ემოციების დროს, ისევე როგორც ძლიერი ფიზიკური ზემოქმედების, ავადმყოფობის დროს სისხლში გამოიყოფა ჰორმონები — ადრენალინი, კორტიზონი... სწორედ ამან განსაზღვრა ძიებათა მიმართულება.

### თავის ტვინის ლოკატორები

— **სხვა** მკვლევართაგან განსხვავებით ჩვენ ვსწავლობდით თავის ტვინს მთლიანად, ქცევის რეაქციებს, თანაც ვეყრდნობოდით ფუნქციონალური სისტემის თეორიას, რომელიც 30-იან წლებში აკადემიკოსმა პეტრე ანოხინმა ჩამოაყალიბა, — ამბობს კონსტანტინე სუდაკოვი.

თეორიის არსი ყველაზე უფრო ზუსტად თვით აკადემიკოსმა ანოხინმა ჩამოაყალიბა: „ცოცხალი ორგანიზმი დინამიკური სისტემაა და მისი ერთ-ერთი საკვანძო მექანიზმია ინფორმაცია მიღებული შედეგის შესახებ". ეს მექანიზმი უნივერსალურია. დღეს დამტკიცებულია, რომ ასეთივე პრინციპით მუშაობს ნეირონიც: სტიმული, ვარიანტების გადარჩევა, მიღებული შედეგის ანალიზი, შესწორება, საძიებელი პასუხი. ცოცხალი ორგანიზმის თვითრეგულაციის მძლავრი ძალები მიმართულია იმისათვის, რომ მუდმივი გახადოს შინაგანი გარემო გარემომცველი გარემოს საწინააღმდეგოდ, რომელიც მას ცვლის. ეს ბალანსი უზრუნველყოფს სიკვდილის გადარჩენას. მაგალითად, ნივთიერებათა ცვლის შეჩერება ორგანიზმის დაღუპვას ნიშნავს. თხუთმეტიოდე წლის წინათ მეცნიერთა შორის საკმაოდ ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა: გრძნობენ თუ არა ცხოველები, აქვთ თუ არა მათ ემოციები. ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამდა ეჭვს, მიზანშეწონილია თუ არა ვცადოთ ემოციების შესწავლა, როცა არსებობს ცენტრალური ნერვული სისტემის სავსებით რეალური, „ხელშესახები" მექანიზმები — პირობითი რეფლექსები, ამასთან ისინი იმოწმებდნენ დიდ რუს ფიზიოლოგს ივანე პავლოვს. მაგრამ თვით პავლოვი არასოდეს არ უარყოფდა სუბიექტური სამყაროს მნიშვნელობას. აკადემიკოსი ანოხინი იგონებდა, რომ ერთხელ, როცა პავლოვს ჰკითხეს, ცნობს თუ არა სუბიექტურ სამყაროს, მან ხუმრობით უპასუხა: „საინტერესოა მენახა ის ვაჟბატონი, რომელიც სუბიექტურ სამყაროს უარყოფს, როცა მის „მტკივნეულ ადგილს შეეხებიან".

— ემოციები წარმოიშვა, როგორც ბიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების გუშაგი, — ამბობს კონსტანტინე სუდაკოვი, — ისინი საშუალებას გვაძლევს სწრაფად შევაფასოთ მოთხოვნილება და ვიპოვოთ რეაგირების შესაბამისი ფორმა, რომელსაც მიზანთან მივყავართ. მართლაც, ვერავის ვერ დაუმტკიცებია, მაგალითად, ცილების, ცხიმების ჭეშმარიტი აუცილებლობა, მაგრამ ყველა შიმშილის გრძნობას განიცდის. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ნერვულ იმპულსებს: ადამიანი მაძღარია, თუმცა საკვებს ჯერ არ მიუღწევია უჯრედებამდე და ქსოვილებამდე. მოთხოვნილების მრავალგზის დაკმაყოფილებისას უკვე მოსალოდნელია შედეგი, ემოცია.

### ჰიპერტონიისა და ინფარქტის მოდელი

**მაშ** ასე, თავის ტვინი, უსწრებს რა მოვლენებს, იჭრება მომავალში ამჟამად მოქმედი სტიმულის პასუხად, რათა საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი შედეგი მიიღოს. და ამას იგი უძველესი ევოლუციით დახვეწილი ინსტრუმენტის — ემოციების საშუალებით შვრება.

მეცნიერებმა შექმნეს მოდელი, რომელმაც პირველად მოგვცა საშუალება განუწყვეტლივ, ხანგრძლივი ექსპერიმენტების მანძილზე ცხოველთა თავისუფალი ქცევის პირობებში დავკვირვებოდით არტერიული წნევის ცვლილებათა დინამიკას. ცდები მიმდინარეობდა ვირთხებზე. მათი არსებობის პირობები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. რეაქტიულობით ისინი მეტისმეტად ახლოს არიან ადამიანთან.

ვირთხას უნდა გაევლო ლაბირინთი, გადაელახა ნაკვეთურები, სადაც იგი იღებდა ელექტრული დენით განმუხტვას, ეპოვა რამდენიმე ნათურიდან ის ერთადერთი ნათურა, რომელიც „უსაფრთხო კუნძული" იქნებოდა მისთვის. თავისთავად სინათლის გზა ბუნებრივი არ არის ვირთხისათვის, ამ შემთხვევაში ეს წინასწარი გაწვრთნის შედეგია...

ცდის მეორე ვარიანტი — კონკურენციის პირობები. ორმა ვირთხამ გაიარა „წვრთნის კურსი", ორივეს მიზანია, რაც შეიძლება მალე განვლონ საშიში ზონა. ლაბირინთში საკმაოდ არის ადგილი, რათა სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ, მაგრამ „უწესივრობის გრძნობა", კონკურენტის გრძნობა ჭარბობს, და ვირთხები ერთმანეთს ეკვეთნენ, თანაც კვლავ გრძნობენ დენის დარტყმებს. მათი ქცევა უკვე გარემოების ადეკვატური აღარ არის.

ხდება ცდების პირობების ვარიაცია, მაგრამ პრინციპი ერთია: ცხოველს აღარ აქვს შესაძლებლობა სწრაფად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება, ირღვევა ევოლუციის მილიონობით წლის მანძილზე გამომუშავებული ნორმის მთავარი კანონი.

გადამწოდები განუწყვეტლივ აღნიშნავენ წნევას. ნათლად ჩანს, რომ, როცა ცხოველი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებებს ძლევს, წნევა მატულობს. თუ მიზანი მიღწეულია, წნევა ნორმაზე ნაკლებია და შემდეგ თანდათან ნორმალური ხდება. დადებითი ემოციები ძლიერ ანტისტრესორია. თუ უსიამოვნო ზემოქმედებანი გროვდება ან მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდება, აღმავლობის ერთი ტალღა თითქოს მეორე ტალღის „კუდს აბიჯებს", მიმდინარეობს უარყოფითი ემოციების დაგროვება — და აი მკვლევართა წინაშე კლასიკური ჰიპერტონიის სურათია აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ.

### სამი მანკიერი წრე

**დაახლოებით** ასეთივე შედეგებია მიღებული, როცა ცხოველები დამშეული არიან, ტვინის, იმ ემოციური ქერქქვეშა ზონის ხანგრძლივი სტიმულაციის პირობებში, რომელიც შიშის რეაქციას განაგებს. ამ ზონაზე სამი საათის განუწყვეტელი ზემოქმედების შემდეგ ცხოველი ჰიპერტონიკი ხდება და ინფარქტი მოსდის. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ემოციები უკავშირდება ტვინის ქერქქვეშა სიღრმულ წარმონაქმნებს და უწინარეს ყოვლისა ჰიპოტალამუსს, სადაც განლაგებულია აგრესიის, შიშის, შიმშილის, წყურვილის ფორმირების ცენტრები.

აქ უამრავი წრიული გზაა, რომლებითაც ემოციურ აღგზნებას დიდხანს შეუძლია ცირკულირება. სწორედ აქ იმალება დიდი საშიშროება: ხანგრძლივი კონფლიქტური სიტუაციის პირობებში ემოციები შეიძლება სტაბილურ მდგომარეობად გადაიქცეს. ეს არის ნევროზი, რომელიც ჰიპერტონიის, წყლულის, ინფარქტის გამომწვევია.

საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჰიპოტალამუსის სუსტი გაღიზიანების დროს, როცა წნევა ჯერ კიდევ არ მატულობს, უკვე შეიმჩნევა თავის ტვინის ელექტროაქტიურობის შეცვლა. აღგზნებები, რომლებიც ქერქქვეშა ზონაში წარმოიშობა, ფართოდ ვრცელდება მთელ ტვინზე და დიდი ნახევარსფეროების ქერქს მოიცავს. ეს გლობალური რეაქციაა.

თუ ნებისმიერ დონეზე დავარღვევთ „მანკიერ წრეს" ჰიპერტონიის საფრთხე არ იქმნება. ცხოვრებაში კი ასე არ ხდება ხოლმე, რადგან მედიცინას ჯერჯერობით არ ძალუძს დაავადების პირველი სიმპტომების დიაგნოსტირება. აღგზნება ჰიპოფიზის ჰორმონებისა და ვეგეტატიური სისტემის საშუალებით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე ვრცელდება. ჰორმონები კი, როგორც საბჭოთა მეცნიერების კვლევამ გვიჩვენა, კვლავ მოქმედებს თავის ტვინზე.

ცდებში ჩაებნენ ნეიროქიმიკოსები. დადგინდა, რომ ნეირონების ქიმია, რომლებიც დაგროვილი უარყოფითი ემოციების გავლენას განიცდის, ძლიერ განსხვავდება ნორმისაგან. ჩნდება ახალი მედიატორები — ერთი ნეირონიდან მეორისათვის ნერვული აღგზნების ქიმიური გადამცემები.

მეცნიერთა აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ემოციური სტრესის პირობებში წარმოიშობა სპეციფიკური ცილის მოლეკულები. სწორედ ისინი ცვლიან ნეირონების ფუნქციებს. თუ ეს ასეა, ორგანიზმში, ისევე როგორც ყოველგვარი უცხო ცილის შემოჭრისას, პასუხად აუცილებლად უნდა გაჩნდეს ანტისხეულები, და მათი გამოყენება შეიძლება ტვინის დასაცავად.

სტრესის საწინააღმდეგო აბები ერთადერთი შესაძლო პრაქტიკული გამოსავალი არ არის. მიმდინარეობს თავის ტვინის სტაბილურობის მექანიზმების ძიება, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს წინააღუდგეს მავნე გავლენებს, მეცნიერთა თვალთახედვის არეშია გენეტიკური ფაქტორები: მემკვიდრეობითი მდგრადობა ან ჰიპერტონიისადმი მიდრეკილება.

### გარდაუვალია თუ არა სიკვდილი სტრესის გამო

— **მედიცინის** ამოცანაა შეიმუშაოს ადამიანის ემოციური რეაქციების, ნევროზული მდგომარეობის ცვლილებათა ადრეული სიმპტომების დიაგნოსტიკა. მათი პირველი ზოგადი ნიშნები ცნობილია — ადამიანი მალე იღლება, მოთენთილია, გაბედულება აკლია ანდა, პირიქით, ზედმეტად ღიზიანდება, ერთი სიტყვით, შეიმჩნევა არაადეკვატურობა, როცა ადამიანი სუსტ გამღიზიანებლებზე უფრო ძლიერ რეაგირებს, ვიდრე ძლიერ გამღიზიანებლებზე, — ამბობს პროფესორი სუდაკოვი, — ამას მოჰყვება ნევროზის განვითარების ულტრაპარადოქსული ფაზა. ადამიანი იმას შვრება ხოლმე, რის ნებასაც თავის თავს წინათ არ მისცემდა კარგი აღზრდის გამო. ამ დროს ყოველთვის ხშირდება გულისცემა, მატულობს წნევა, ჩნდება კუჭის სპაზმები.

ყველა ეს ცვლილება შეიძლება უკვალოდ გაქრეს, თუ ადამიანმა ცხოვრების წესი შეიცვალა. ვერავითარი გიჟური რიტმი, ვერავითარი მწვავე განცდები ვერ გამოიწვევს ჰიპერტონიას თუ ამ რიტმს და უდიდესი დაძაბულობის მომენტებს სიმშვიდის მომენტები ახლავს ხოლმე.

გატაცება, არსებითად, ადამიანის მიერ ემპირიულად ნაპოვნი დაცვის ხერხია, ისევე როგორც სუსტი სტრესებიც: შიმშილი, თერმული დატვირთვა, ტვინის დამცველ ძალებს რომ ზრდის, გონებრივი მუშაობიდან ფიზიკურ მუშაობაზე გადასვლა.

ყველა ამ შემთხვევაში საქმე ეხება უკვე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების ნეიტრალიზაციას. ემოციების აღზრდა კი იმის უნარია, რომ საერთოდ საშუალება არ მისცე ნეგატიური რეაქციების წარმოშობას. ამ აზრისაა მეცნიერი. პირადი და საზოგადოებრივი მიზნების ერთიანობა — აი პირობა, როცა ემოციების მართვა განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება იყოს. ემოციების მოთოკვა ხომ შეიძლება ვარჯიშით, ისევე როგორც კუნთებისა.

... ბავშვს ნებას არ აძლევენ მიუახლოვდეს სტუმრებისათვის გაშლილ სუფრას — ეს მისთვის უკვე მიკროსტრესია, თუ მას არ ესმის, რატომ არსებობს „არ შეიძლება". მაგრამ ელემენტარული აღზრდა თავიდან აგვაცილებს მიკროსტრესს. საშიშია არა თავისთავად ემოციები — უდიდესი სიკეთე, რომელიც ადამიანს ბუნებამ უწყალობა, — არამედ ის მოტივები, მიზნები, რომელთა ბაზაზეც ისინი წარმოიშობა. ამიტომ საჭიროა განვავითაროთ საზოგადოებრივად სასარგებლო მოთხოვნილებები. მაგრამ ეს უკვე მარტო მედიცინის საქმე აღარ არის.

**ს. ვინოკუროვა,**
ახალი ამბების სააგენტოს მეცნიერ-კომენტატორი.

## საქართველოს მთა-ბარში



სურათზე: ბათუმი, რუსთაველის ქუჩა.
ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## სამეჯლისო ცეკვების კონკურსი

**დამთავრდა** სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების საკავშირო ფესტივალის დასკვნითს ტურში შედიოდა.

150 კაცი მონაწილეობდა ცეკვის ამ დღესასწაულში, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო. ყოველ წყვილს უნდა შეესრულებინა ექვსი-ექვსი საბჭოური და ევროპული ცეკვა.

კონკურსის შედეგების თანახმად ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ მოცეკვავეები თ. ერიშვილი და ტ. პერშტეინი (მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კულტურის სახლი). ზ. ქველიძე და მ. შავერდოვა (პროფკავშირების რესპუბლიკური კულტურის სახლი), ზ. მარგიშვილი და თ. შავდათუაშვილი (თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი), გ. გოგნიაშვილი და ლ. ბოგდანოვა (მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი), ა. ჭანუყვაძე და მ. სუხიტაშვილი (მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი). მათ შესაბამისად დაიკავეს პირველი-მეხუთე ადგილები და კონკურსის ლაურეატების წოდება მოიპოვეს.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში სამეჯლისო ცეკვების პოპულარობა ბევრად გაიზარდა, — თქვა ჟიურის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა. — თუ 1975 წელს ასეთ კონკურსში მონაწილეობდნენ მოცეკვავეები ოცდაათი ქალაქიდან და რაიონიდან, წელს უკვე ცეკვის ხელოვნებაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ 25 საქალაქო და 35 რაიონული კოლექტივის წარმომადგენლები. ამაღლდა შესრულების დონე. კონკურსში პირველად მონაწილეობდნენ სოფლელი მოცეკვავეები. (საქინფორმი).

### ტელევიზია

**18 მარტი**

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები, გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ეკრანზეა კინოკომედია. მხატვრული ფილმი „თქმულება ციმბირის მიწაზე" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 18.20 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით" — ფერადი გამოსახულებით, 19.30 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1936 წელი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — კონცერტი.

**მეორე პროგრამით**

17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დოლჟენკოს მინდორი", 18.05 — მოსწავლეთათვის მასწავლებლის საათი — ხაზვა, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოტნამანი", 19.05 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.40 — მხატვრული ფილმი „მსახიობი ქალი".

### რადიო

**19 მარტი**

**პირველი პროგრამით**

06.35 — სიმღერები ნ. მკერვალიძისა და ც. ციცქიშვილის შესრულებით, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — პ. მასკანი. ნაწყვეტები ოპერიდან „სოფლის პატიოსნება", 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.15 — ს. ცინცაძე — მეორე სიმფონია და კონცერტინო ჩელოსა და ორკესტრისათვის, 13.15 — მ. ბლანტერი — სიმღერები, 13 30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ლ. ქიაჩელი — „მთის კაცი" — რადიოდადგმა, 17.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი-საუბარი „შუბერტის სიმღერები", 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ა. ბაბაჯანიანი—სიმღერები, 19.00 —დოკუმენტური რადიომოთხრობა „ოქტომბერი ჩემს სოფელში", 20.30 „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები" — სცენები სპექტაკლებიდან „არსენა მარაბდელი" და „ოტელო" ა. ხორავას მონაწილეობით, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ანსამბლ „კოლხეთის" კონცერტი, 21.30 — ახალგაზრდობისათვის „სასიქადულო მამულიშვილები" — დ. კაკაბაძე, 23.30 — ფ. კრეისლერი — პიესები ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.

### თეატრი

**18 მარტი**

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დაისი;** შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რწმენა** (მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრის წარმოდგენა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის **ყარამანს ქალი მოჰყავს;** მინიატურების სახელმწიფო — **ნაკრები;** ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია—**მოსაწყენი დღეების ქრონიკა.**

**კომუნისტი** — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03. 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02077 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14